



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/98

„ 4 „ აგვისტო 2015 წ.

ბ ა ლ ა ნ ყ ვ ე ბ ი ლ ე ბ ა

მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის
კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 13¹ მუხლის შესაბამისად, ინიცირებულ იქნეს თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლის შესაბამისი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე, თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, დანიშვნის საკითხი საერთო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

- ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია - 2 საშტატო ერთეული;
- ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - 2 საშტატო ერთეული;
- გ) თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია - 2 საშტატო ერთეული.

2. აღნიშნულ თანამდებობებზე დანიშვნის მსურველ პირთა მიერ განაცხადების წარდგენა განხორციელდეს 2015 წლის 5-6 აგვისტოს.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი